პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 69 (12277)
ოთხშაბათი,
21
მარტი
1962 წ.
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის დირსეული კანდიდატები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა

1962 წლის 18 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ

როგორც უკვე იუწყებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 18 მარტის არჩევნებმა საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა. არჩევნების შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს საბჭოთა საზოგადოების მაღალი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეაჯამა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1962 წლის 18 მარტის არჩევნების საბოლოო შედეგები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების დებულების ზუსტი შესაბამისობით დათვალა ხმები და დაადგინა არჩევნების შედეგები თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემებით ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა რიცხვმა მთლიანად სსრ კავშირში შეადგინა 140.022.359 კაცი, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 139.957.809 კაცმა, ანუ 99,95 პროცენტმა.

მოკავშირე რესპუბლიკებში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი და არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი შემდეგია:

მოკავშირე რესპუბლიკები	სულ ამომრჩეველები	არჩევნებში მონაწილეობა მიიღო	პროცენტობით
რუსეთის სფსრ	78.725.696	78.688.883	99,95
უკრაინის სსრ	29.488.816	29.481.232	99,98
ბელორუსიის სსრ	5.346.550	5.344.434	99,96
უზბეკეთის სსრ	4.769.190	4.768.841	99,99
ყაზახეთის სსრ	6.264.564	6.263.398	99,98
საქართველოს სსრ	2.643.145	2.643.060	99,99
აზერბაიჯანის სსრ	2.194.501	2.194.408	99,99
ლატვიის სსრ	1.856.727	1.855.301	99 92
მოლდავეთის სსრ	1.864.015	1.862.582	99,92
ლიტვის სსრ	1.593.258	1.590.601	99,83
ყირგიზეთის სსრ	1.246.959	1.246.539	99,97
ტაჯიკეთის სსრ	1.158.487	1.158.436	99,99
სომხეთის სსრ	1.063.553	1.063.288	99,98
თურქმენეთის სსრ	914.965	914.903	99,99
ესტონეთის სსრ	892.433	886.903	99,38

კავშირის საბჭოს არჩევნების შედეგები

კავშირის საბჭოს არჩევნების მოსაწყობად შექმნილია 791 საარჩევნო ოლქი. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში. კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 139.210.431 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა 99,47 პროცენტს. წინააღმდეგ ხმა მისცა 746.563 კაცმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 815 საარჩევნო ბიულეტენი.

ყველა დასახელებულმა კანდიდატმა მიიღო ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან დეპუტატებად.

კავშირის საბჭოს არჩევნების შედეგები მოკავშირე რესპუბლიკებში მოყვანილია ქვემოთ:

მოკავშირე რესპუბლიკები	კანდიდატებისათვის მიცემული ხმის რაოდენობა	
	აბსოლუტური ციფრებით	პროცენტობით
რუსეთის სფსრ	78.105.309	99,26
უკრაინის სსრ	29.413.239	99,77
ბელორუსიის სსრ	5.332.600	99,78
უზბეკეთის სსრ	4.754.004	99,69
ყაზახეთის სსრ	6.229.802	99,46
საქართველოს სსრ	2.640.588	99,91
აზერბაიჯანის სსრ	2.189.614	99,78
ლიტვის სსრ	1.853.451	99,90
მოლდავეთის სსრ	1.859.318	99,82
ლატვიის სსრ	1.585.562	99,68
ყირგიზეთის სსრ	1.239,990	99,47
ტაჯიკეთის სსრ	1.155.318	99,73
სომხეთის სსრ	1.061.883	99,87
თურქმენეთის სსრ	910.187	99,48
ესტონეთის სსრ	879.566	99,17

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შედეგები

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მოსაწყობად შექმნილია 652 საარჩევნო ოლქი. აქედან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 375 საარჩევნო ოლქი მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, 220 — ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, 40 — ავტონომიური ოლქებისაგან, 10 ეროვნული ოკრუგებისაგან. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 139.391.455 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა 99,60 პროცენტს, წინააღმდეგ ხმა მისცა 564.155 კაცმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 706 საარჩევნო ბიულეტენი.

ყველა დასახელებულმა კანდიდატმა მიიღო ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან დეპუტატებად.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შედეგები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ.

მოკავშირე რესპუბლიკები	კანდიდატებისათვის მიცემული ხმის რაოდენობა	
	აბსოლუტური ციფრებით	პროცენტობით
რუსეთის სფსრ	78.279.687	99,49
უკრაინის სსრ	29.419.223	99,79
ბელორუსიის სსრ	5.335.346	99,85
უზბეკეთის სსრ	4.752.605	99,66
ყაზახეთის სსრ	6.227.005	99,42
საქართველოს სსრ	2.641.118	99,93
აზერბაიჯანის სსრ	2.189.283	99,78
ლიტვის სსრ	1.853.301	99,90
მოლდავეთის სსრ	1.860.915	99,83
ლატვიის სსრ	1.587.675	99,80
ყირგიზეთის სსრ	1.238.443	99,36
ტაჯიკეთის სსრ	1.151.795	99,45
სომხეთის სსრ	1.061.663	99,85
თურქმენეთის სსრ	911.491	99,62
ესტონეთის სსრ	881.905	99,36

ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქებსა და ეროვნულ ოკრუგებში ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ამომრჩეველთა საერთო რიცხვმა აღნიშნული ავტონომიებიდან შეადგინა 12.057.479 კაცი, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 12.052.744 კაცმა, ანუ 99,96 პროცენტმა, აქედან დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 11.968.855 კაცმა, ანუ 99,30 პროცენტმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 83.848 კაცმა. არჩევნების დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 41 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი მასალები და არჩევნების დებულების 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევა ყველა საარჩევნო ოლქში.

სულ არჩეულია 1.443 დეპუტატი, აქედან 791 კავშირის საბჭოს დეპუტატი და 652 ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

1962 წლის 20 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატები

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისა 1962 წლის 18 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატებად საქართველოს სს რესპუბლიკაში არჩეული არიან:

აბაშიძე ირაკლი ბესარიონის-ძე, მწერალი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი. გურჯაანის ოლქი.

ბღაჟბა მიხეილ თიმურის-ძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. სოხუმის ოლქი.

გელეიშვილი ზურაბ ანტონის-ძე, სადგურ სამტრედიის საელექტროტექნიკო დეპოს ელმავლის მემანქანე. სამტრედიის ოლქი.

გიორგაძე მიხეილ პოროფირეს-ძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი. ზესტაფონის ოლქი.

კოვანოვი პავლე ვასილის-ძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. ზუგდიდის ოლქი.

ლაღაძე თამარ ნიკოლოზის ასული, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი. თბილისის ორჯონიკიძის ოლქი.

ლელაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე. ჯორის ოლქი.

მალლაკელიძე ნაზი ისაკის ასული, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი. ქუთაისის ოლქი.

მეკავანაძე ვასილ პავლეს-ძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი. თბილისის პირველი მაისის ოლქი.

ფორეოლიანი ალექსანდრა მოსეს ასული, ბათუმის ხისდასამუშავებელი კომბინატის მვალცავი. ბათუმის ოლქი.

ტატუნაკო ანდრია ტროფიმეს-ძე, გენერალ-პოლკოვნიკი. ბორჯომის ოლქი.

ფანდულაია ამირან სოლომონის-ძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე. რუსთავის ოლქი.

ჩოგოვაძე გიორგი ირაკლის-ძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე. ფოთის ოლქი.

ჯავახიშვილი გივი დიმიტრის-ძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. თბილისის კალინინის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები

საქართველოს სსრ

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისა 1962 წლის 18 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად საქართველოს სს რესპუბლიკისაგან არჩეული არიან:

ბაგიროვი მაგარამ ნამაზ ოღლი, მარნეულის რაიონის ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობის მუშა. რუსთავის ოლქი.

ბაქრაძე გიორგი მიხეილის-ძე, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს მბურღავი. ჭიათურის ოლქი.

ბექაური ალექსი სიმონის-ძე, საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი. მცხეთის ოლქი.

დუღაშვილი ფარნაოზ სარდიონის-ძე, საქართველოს კომპარტიის ვურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი. თელავის ოლქი.

ინაური ალექსი ნიკოლოზის-ძე, გენერალ-ლეიტენანტი. ცხინვალის ოლქი.

კობაიძე არსენ ალექსის-ძე, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სიღნაღის ოლქი.

კობახიძე ლევან ვასილის-ძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი. ზესტაფონის ოლქი.

კობახიძე შოთა სიმონის-ძე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. ქუთაისის ოლქი.

კუჭავა მიტროფანე იონას-ძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. გეგეჭკორის ოლქი.

ლუკიანოვი ვასილ ანტონის-ძე, მანქანათსაშენებელი ქარხნის ზეინკალი-ჰიდრავლიკოსი. თბილისის 26 კომისრის სახელობის ოლქი.

მელაძე ალექსანდრე ერასტის-ძე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. თბილისის ორჯონიკიძის ოლქი.

მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს-ძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. ბათუმის ოლქი.

ნინოძაშვილი ელენე მიხეილის ასული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე. ცხაკაიას ოლქი.

პაპინაშვილი ვასილ ალექსანდრეს-ძე, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მეავტომატე ზეინკალი. თბილისის ლენინის ოლქი.

პეტროსიანი ემა არსენის ასული, ახალქალაქის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. ახალციხის ოლქი.

პონომარიოვი ბორის ნიკოლოზის-ძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი. სოხუმის საქალაქო ოლქი.

სირაძე ვიქტორია მოსეს ასული, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ხაშურის ოლქი.

ფრუიძე რევაზ იაკობის-ძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. თბილისის კიროვის ოლქი.

ქვარცხავა აკაკი კონსტანტინეს-ძე, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი. ზუგდიდის ოლქი.

შავიშვილი კიტა ნიკოლოზის-ძე, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი. სამტრედიის ოლქი.

ჩიქოვანი აპოლონ ივანეს-ძე, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწე. თბილისის პირველი მაისის ოლქი.

ჩხაიძე ტატიანა ნესტორის ასული, მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. მახარაძის ოლქი.

ძოწენიძე გიორგი სამსონის-ძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. სოხუმის სასოფლო ოლქი.

ჭიქაბერიძე გრიგოლ ივანეს-ძე, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის შახტის მნგრეველთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი. ამბროლაურის ოლქი.

ხომასურიძე რუსუდან ნიკოლოზის ასული, გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის წევრი. გორის ოლქი.

აფხაზეთის სსრ

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისა 1962 წლის 18 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად აფხაზეთის სსრ რესპუბლიკისაგან არჩეული არიან:

ავიძბა სარა რიზას ასული, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის ოსტატი. სოხუმის ლენინის ოლქი.

გერგედავა ზოია ექვთიმეს ასული, ვალის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. გალის ოლქი.

ენიუტინი გიორგი ვასილის-ძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარე. სოხუმის სასოფლო ოლქი.

ვოუბა ალექსანდრა ჩიჩინოს ასული, ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. ოჩამჩირის სასოფლო ოლქი.

კვიცინია იური ტარიელის-ძე, გაგრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. გაგრის ოლქი.

ლაკოია ვლადიმერ ანტონის-ძე, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ღურიფშის“ თავმჯდომარე. კალდახვარის ოლქი.

მაჭავარიანი ალექსი დავითის-ძე, კომპოზიტორი, საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ოჩამჩირის საქალაქო ოლქი.

მიქვაბია ლადიკო ბიდოს-ძე, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ზეინკალთა ბრიგადირი. ტყვარჩელის ოლქი.

ქადაგიძე გრიგოლ ილიას-ძე, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი. სოხუმის საქალაქო ოლქი.

ჩიქოვანი მიხეილ გერასიმეს-ძე, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გულრიფშის ოლქი.

ძიძარია გიორგი ალექსანდრეს-ძე, სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. გუდაუთის ოლქი.

აჭარის სსრ

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისა 1962 წლის 18 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად აჭარის სსრ რესპუბლიკისაგან არჩეული არიან:

ბაჯელიძე ვლადიმერ გიორგის-ძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ჩაქვის ოლქი.

დავითაძე ლევან მიხეილის-ძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. შუახევის ოლქი.

ვოლკოვი ალექსანდრე პეტრეს-ძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. ბათუმის ლენინის ოლქი.

თხილაიშვილი ალექსანდრე დურსუნის-ძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. ბათუმის ზღვისპირა ოლქი.

სტეპანენკო თეოდორე პეტრეს-ძე, გენერალ-ლეიტენანტი. ხულოს ოლქი.

სურმანიძე ნაიმე ასლანის ასული, ბათუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის № 5 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი მოტორისტი. ბათუმის ფრუნზეს ოლქი.

ქათამაძე დარიკო ალექსანდრეს ასული, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვის კოლმეურნეობის წევრი. ქობულეთის ოლქი.

ღლონტი თამარ ირაკლის ასული, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე. ქედის ოლქი.

ძნელაძე ლეილა სულადალის ასული, ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის წევრი. ურეხის ოლქი.

ჯაფარიძე მედეა ვალერიანის ასული, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი. ხელვაჩაურის ოლქი.

ჯაში ვალენტინ სევერიანეს-ძე, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი. ბათუმის შაუმიანის ოლქი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისა 1962 წლის 18 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან არჩეული არიან:

გაზაევი ვლადიმერ ისაკის-ძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. ზნაურის ოლქი.

მელაძე ნორა ილიას ასული, ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის კოლმეურნეობის წევრი. ლენინგორის ოლქი.

ონიაშვილი ოთარ დავითის-ძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. ცხინვალის სასოფლო ოლქი.

ჩაიევი იოსებ სიმონის-ძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. ცხინვალის საქალაქო ოლქი.

ხუგაევი ალიხან კაიტიკის-ძე, ქვაისის მაღაროთსამმართველოს მნგრეველთა ბრიგადირი. ჯავის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს — 18 მარტს თბილისის საარჩევნო უბნებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა

საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიაში

20 მარტს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის საბოლოო სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ამბ. მ. მ. ლელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებმა ჩაიარა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში. რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება. საბჭოთა ადამიანებმა არჩევნების დღე აღნიშნეს ახალი წარმატებებით სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში.

კენჭისყრის შედეგების შესახებ ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მდივანმა ამბ. ი. გ. რთველიაშვილმა. მან თქვა, რომ არჩევნებმა ჩაიარა ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით, საარჩევნო კანონის სრული შესაბამისობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა საქართველოს სს რესპუბლიკისაგან კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,95 პროცენტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა საქართველოს სს რესპუბლიკისაგან კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,93 პროცენტმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან — 99,83 პროცენტმა, აჭარის ასს რესპუბლიკისაგან — 99,91 პროცენტმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან — 99,96 პროცენტმა.

ამრიგად ყველა დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულმა მიიღო ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად. (საქდესი).

საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომები

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი

გუფინ, 20 მარტს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თბილისის პირველი მაისის № 699 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის საბოლოო სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ამ ოლქში შემავალი თბილისის ლენინის, პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების, თიანეთის სასოფლო რაიონის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის წარმომადგენლები. ამ ოლქში კენჭს იყრიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვასილ პავლეს-ძე მეკავანაძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გოშაძემ აღნიშნა, რომ კომისიამ შეაჯამა ოლქში გამართული ხმის მიცემის შედეგები. არჩევნების დღეს ყველა 171 საარჩევნო უბანში ხმის მიცემამ ჩაიარა ერთსულოვნად და ორგანიზებულად.

კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა ოლქში ხმის მიცემის შედეგები და განაცხადა, რომ **ვასილ პავლეს-ძე მეკავანაძე** არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ამ ცნობას საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის მონაწილენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებმა ერთსულოვანი ხმის მიცემით ცხადყვეს თავიანთი სიყვარული და ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი, რომლის საუკეთესო შვილები არჩეული არიან ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. ბევრმა ამომრჩეველმა თავისი გრძნობები და აზრები გამოხატა პატრიოტულ ჩანაწერებში ბიულეტენებსა და ცალკეულ ფურცლებზე.

არჩევნების შედეგები ცხადყოფენ, რომ თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქის მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი მზად არიან კვლავაც თავდადებით იშრომონ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ახალი წარმატებანი მოიპოვონ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი

საარჩევნო კამპანია დამთავრდა. 19 მარტს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ოლქში შემავალი პარტიული, ახალგაზრდული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ნინოშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებმა ჩაიარა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში. შემდეგ მან გამოაქვეყნა ფარული კენჭისყრის შედეგები. ეს შედეგები, თქვა მან, დამაჯერებლად ცხადყოფენ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ახალ გამარჯვებას, საბჭოთა ხალხის მონოლითურ შეკავშირებას მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. ოლქის 176-ვე საარჩევნო ოლქში ხმა მისცა ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.

კომისიამ შეაჯამა ხმის მიცემის შედეგები, რომელთა შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ნინოშვილმა. საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების მონაცემებით, ხმის აბსოლუტური უმრავლესობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატად თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქში არჩეულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

ამ ცნობას სხდომის მონაწილენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

სხდომაზე თავიანთი კოლექტივების სახელით სიტყვები წარმოთქვეს — პირველი მექანიკური ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. გრიგორიანმა, ლილოს მეკანახეობის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსმა ს. თინაშვილმა და სხვებმა.

დასასრულ საარჩევნო კომისიამ გაფორმა ოქმი კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა ხელი მოაწერეს ოქმს და დაადასტურეს, რომ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატად. (საქდესი).

ლოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, მიძღვნილი კენჭისყრის შედეგებისადმი.

სხდომას დაესწრნენ ოლქის პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. ღვინჯილიამ თქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციაა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა რ. აგრბამ გამოაცხადა ფარული კენჭისყრის შედეგები. ყველა 107 საარჩევნო უბანში არჩევნებმა ორგანიზებულად ჩაიარა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ამომრჩეველმა. საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმების მონაცემების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქში არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.**

კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ ეშერის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორი შ. ჯალაღონია და ექიმი გ. ბუკში, რომლებმაც ქმაყოფილება გამოთქვეს კენჭისყრის შედეგებით.

შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიამ გაფორმა ოქმი კენჭისყრის შედეგების შესახებ. **კომისიის წევრებმა ხელი მოაწერეს მას.**

ბევრ სახარგებლო ღონისძიებას ახორციელებს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის პარტიული კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტი. მის მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმულნი კომბინატის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები, რომლებიც ხშირად მართავენ საინტერესო ლექციებს, თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, ექსკურსიებს...

ამ სურათზე ხედავთ პოლიტიკური განათლების კაბინეტის წევრებს (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. თოდრიას, დ. ევსტაფიევს, ა. ლაშაურს, ე. მარიამიძეს, თ. ტეტუნაშვილს, მ. რუსიშვილს, რომლებიც იხილავენ ახალ ღონისძიებათა მოწყობის გეგმას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პარტიული ქრონიკა

□ ყვარელი. ამას წინათ საქართველოს სსრ მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების და პარტიის ყვარლის რაიკომის ინიციატივით ახალსოფელში გაიმართა „ლექტორის დღე“.

ამ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კითხვა-პასუხის საღამო, წაკითხულ იქნა რამდენიმე ლექცია. მეტად საინტერესო იყო „ახალსოფლელ კოლმეურნეთა შეხვედრა სკკპ XXII ყრილობის დელეგატთან მესიმინდე ეთერ წიწრიაშვილთან.

გ. ნერსეზაშვილი.

□ ლანჩხუთი. სოფელ ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიუროს გამსვლელი სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი ამ კოლმეურნეობაში პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა კოლმეურნეობის გამეფოშისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

რაიკომის ბიურომ მიიღო კონკრეტული ღონისძიება ღრმაღელის კოლმეურნეობაში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

□ ბათუმი. ამას წინათ გაიმართა აჭარის ასსრ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა თათბირი პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივთან ერთად.

მოხსენებით — „სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და აჭარის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა ამოცანები“ — გამოვიდა აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრი გ. მესხიძე.

გ. შანიძე.

სოფელს — ახალი ტექნიკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დასახა გადაუდებელი და დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და სკკპ ახალი პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ კონსტრუქტორებმა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებმა. მოკლე დროში უნდა შექმნან ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაეხმარება შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში და ამით მკვეთრად გავადიდებთ მოსავლიანობას, შრომის ნაყოფიერებას, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას.

ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს უფროსს ვალერიან ვადაჭკორიას ეამბნა ჩვენთვის, თუ რა ახალი მანქანები შექმნეს სოფლის მეურნეობისათვის და რის გაკეთებას აპირებენ მოკლე დროში.

აი რა გვიამბო მან:

* * *

საქართველო მრავალდარგოვანი მეურნეობაა. მარცვლეული კულტურებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად აქ შექმნილია ძლიერი სუბტროპიკული მეურნეობა. საქართველოს მშრომელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირს ჩაითა და ციტრუსებით ძირითადად საქართველო ამარაგებს. შვიდწლედის ბოლოს კი ჩვენი რესპუბლიკა მთლიანად დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მოთხოვნილებას ჩაიზე. ეს დიდი და საპატიო საქმეა.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების დამუშავების შრომატევადი პროცესები უკანასკნელ დრომდე არ იყო მექანიზებული, ყველა ძირითადი სამუშაო ხელით სრულდებოდა. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კულტურების მოვლა-მოყვანის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია ერთგვარი თავისებურებით ხასიათდება. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და, ცხადია, ასეთ პირობებში მანქანები უნდა გამოიჩეოონენ თავიანთი მანეურირებით, მათ უნდა შეძლონ ფერდობებზე მუშაობა.

ჩაის პლანტაციების, ვენახების, ციტრუსებისა და სხვა ტექნიკური კულტურების შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის მთაგორიანი რელიეფის პირობებში აუცილებელი გახდა სპეციალური თვითმავალი შასის და მასზე დასაკიდი ხელსაწყოების შექმნა. ჩვენი კონსტრუქტორებისა და წარმოების ინჟინერ-ტექნიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს საქმე გაოაწყვიტეს. სახალხო მეურნეობის საბჭოს სოფლის მეურნეობის ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ უკანასკნელ წლებში დაამუშავა „სსშ-8 გ“ და „დსშ-16“ თვითმავალი შასების დასაკიდი კომპლექსური მოწყობილობების კონსტრუქციები, განკუთვნილი ჩაის პლანტაციების კულტივაციის, ფუმიგაციისა და ჩაის გასხვლისათვის. აღნიშნული მოწყობილობები დაამზადა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ. ამიკამად ეს მანქანები წარმატებით მუშაობენ.

ჩაის ფოთლის კრეფა ყველაზე დიდი და შრომატევადი სამუშაოა. ამ საქმეშიც არის ერთგვარი წარმატება. შარშან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ გამოუშვა რამდენიმე ჩაისსაკრეფი მანქანა, რომლებმაც სპეციალური გამოცდა გაიარეს. მუშაობის პროცესში გამოვლინდა მთელი რიგი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. ჩვენმა კონსტრუქტორებმა ყოველივე ეს გაითვალისწინეს და გააუმჯობესეს მანქანის კონსტრუქცია. მომდინარე წელს ჩაის კრეფის სეზონის დასაწყისიდანვე მანქანებით დავიწყებთ ჩაის ფოთლის კრეფას გამოცდის თვალსაზრისით, ხოლო [illegible] მანქანების სერიულ გამოშვებას.

[illegible] ფოთლის გადამამუშავებელი [illegible] ბოლოს [illegible] ფაბრიკა [illegible] ბიბლიოთეკა [illegible] ბიბლიოთეკა [illegible] ბიბლიოთე

მსოფლიო უიარაღოდ!

ჟენევა 19 მარტი. (საკადესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა დღეს ჟენევის პრესის ხახლში გამართა პრეს-კონფერენცია, რომელმაც განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ჟურნალისტებში.

ვ. ა. ზორინის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

პრეს-კონფერენციის დასაწყისში ვ. ა. ზორინმა გააკეთა განცხადება. მან გაახსენა დამსწრეთ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიხაღწევად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წარმოებული მოლაპარაკების ისტორია და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობას.

18 სახელმწიფოს კომიტეტმა, აღნიშნავს ზორინი, რომელმაც 14 მარტს დაიწყო მუშაობა, შეუდგა მის წინაშე დასახული ამოცანის შესრულებას. 15 მარტს, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ კომიტეტის განსახილველად შეიტანა მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტი. იგი კონკრეტული განსახიერებაა საყოველთაო და სრული განიარაღების პრინციპებისა, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და მოწონებულია გენერალური ასამბლეის მიერ და შეიცავს ასეთი განიარაღების დეტალურ პროგრამას, დაყოფილს სამ ეტაპად. ამ პროგრამის განხორციელება ნავარაუდევია 4 წლის განმავლობაში მტკიცე საერთაშორისო კონტროლით ამ პროგრამის თვითეულ ეტაპზე.

საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტი ერთადერთი კონკრეტული დოკუმენტია, რომელიც მოიცავს განიარაღების ყველა ეტაპს, თითოეულ ეტაპზე აქ განიარაღებისა სავსებით კონკრეტული ღონისძიებებია, რომლებიც შეეხება როგორც ჩვეულებრივი ტიპების შეიარაღებას, ისე რაკეტულ-ატომურ იარაღს, ამასთან საკონტროლო ღონისძიებანი ნავარაუდევია იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა მტკიცედ დაიცვან განიარაღების თვითეული ღონისძიების განხორციელების ვალდებულებანი. ამასთანავე ხელშეკრულებაში დაწერილებით დამუშავებულია განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურა და მუშაობის წესი იმ მიზნით, რომ განხორციელდეს საერთაშორისო კონტროლი განიარაღებისადმი და ჩამოყალიბებულია ძირითადი ღონისძიებანი მშვიდობის განსამტკიცებლად განიარაღების პროცესში და მისი განხორციელების შემდეგ, მათ შორის შექმნა საერთაშორისო შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებენ ამ ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

საბჭოთა დელეგაციის განცხადება ვ. ა. ზორინმა, რა თქმა უნდა, მზად არის იმისათვის, რომ ამ პროექტის განხილვის დროს განახილოს სხვა წინადადებანიც, რომელთა მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი.

საბჭოთა დელეგაციას, განაგრძო ვ. ა. ზორინმა, აგრეთვე მიაჩნია, რომ ამავე დროს, მაგრამ არა საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების მომზადების საზიანოდ, კომიტეტმა შეიძლება განიხილოს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის წარმატებით გადაჭრას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაიდება ხელშეკრულება ასეთი განიარაღების შესახებ.

ამრიგად, ყველა ეს ღონისძიება, ისევე როგორც ის ღონისძიებანი, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს შემოაქვთ საყოველთაო და სრული განიარაღების ფარგლებს გარეთ, შეიძლება განხილულ იქნეს მთავარი ამოცანის გადაწყვეტის პარალელურად, რომელიც დგას კომიტეტის წინაშე — საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების შემუშავების პარალელურად.

რაც შეეხება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს, ხაზგასმით აღნიშნა მან შემდეგ, საბჭოთა დელეგაცია მზად არის დაეთანხმოს იმას, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან შეიქმნას ქვეკომიტეტი, რომელიც განაგრძობს ღონისძიებებს ამ საკითხზე შეთანხმების მისაღწევად.

რა თქმა უნდა, თუ საფრანგეთი თანახმა არ იქნება მონაწილეობა მიიღოს ამ მოლაპარაკებაში, გამოცდის საკითხებზე ჩვენ დავთანხმდებით სამი სახელმწიფოს — შეერთებული შტატების, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობას.

შემდეგ ვ. ა. ზორინმა პასუხი გასცა კორესპონდენტების კითხვებზე.

ალჟირი იქნება ისეთი, როგორც ჩვენ, ალჟირელებს გვსურს

ბენ ბელა მიმართვა ალჟირელი ხალხისადმი

ტუნისი, 19 მარტი. (საკადესი). ალჟირელი ხალხისადმი მიმართვაში ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ბენ ბელა იუწყება, რომ ევიანში დაიდო საერთო შეთანხმება. „ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სახელით, რომელიც უფლებამოსილია ალჟირის რევოლუციის ეროვნული საბჭოს მიერ, — განაცხადა მან, — ვაცხადებ ცეცხლის შეწყვეტას ალჟირის მთელ ტერიტორიაზე 1962 წლის 19 მარტის, ორშაბათის, დღის 12 საათიდან. ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობას სახელით ვუბრძანებ ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მთელ მებრძოლ ძალებს შეწყვეტონ საბრძოლო ოპერაციები და სამუდამო მოქმედება ალჟირის მთელ ტერიტორიაზე“.

ბენ ბელამ განაცხადა, რომ ხელმოწერილ შეთანხმებათა პირობები „ეფესაბამება რევოლუციის არაერთგზის გამოცხადებულ პრინციპებს:

1. ალჟირის ტერიტორიული მთლიანობა მის ახლანდელ საზღვრებში, რაც დამორიცხავს ალჟირის ჩრდილოეთი ნაწილის გაყოფის აშკარა ან ფარული ცდას, და რაც გამორიცხავს აგრეთვე ყოველგვარ ცდას ჩამოაცილონ ჩვენს ქვეყანას მისი კუთვნილი სანაპირო.

2. ალჟირის სახელმწიფოს ექნება სუვერენიტეტის ყველა ატრიბუტი, მათ შორის ეროვნული თავდაცვა და დიპლომატია, თვითონ განსაზღვრავს თავისი პოლიტიკის — როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კურსს.

3. აღიარებულია ალჟირელი ხალხის ერთიანობა. საფრანგეთი უარს ამბობს თავის კონცეფციაზე, რომ ალჟირი დანაწილებული უნდა იყოს ცალკეულ თემებად. ბოლოს, აღიარებულია ალჟირელი ხალხის ეროვნული თავისთავადობა და მისი არაბულ-ისლამური კულტურა...

4. ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ცნობა როგორც ერთადერთი მხარისა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს ალჟირელი ხალხის სახელით, და როგორც მისი ნამდვილი წარმომადგენლისა — რეალური ფაქტი გახდა“.

„ალჟირის სახელმწიფო, — თქვა შემდეგ ბენ ბელამ, — თავისუფლად აირჩევს საკუთარ ინსტიტუტებს და პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებას, რომელსაც იგი უყველაზე შესაბამისად მიიჩნევს თავისი ინტერესებისათვის. საერთაშორისო პლანით იგი განსაზღვრავს და სავსებით სუვერენულად განახორციელებს არსებულ პოლიტიკას. ეს იქნება დემოკრატიული სახელმწიფო. იგი უსიტყვოდ ცოცხალ ხელ-ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციას. მის ინსტიტუტებს საფუძვლად ექნება დემოკრატიული პრინციპები და ყველა მოქალაქის პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობა, ისე რომ არ იქნეს რასობრივი ან რელიგიური დისკრიმინაცია“.

შემდეგ ბენ ბელა შეეხო ალჟირის ევროპელი მოსახლეობის სტატუსს.

ილაპარაკა რა სამხედრო საკითხებზე, მან აღნიშნა, რომ ეს საკითხები „მოწესრიგდება საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ევაკუაციის პერსპექტივის გათვალისწინებით. ალჟირში საფრანგეთის უდიდესი სამხედრო პოტენციალი, მათ შორის პირადი შემადგენლობა და ტექნიკა, ევაკუირებულ იქნება ზუსტი კალენდარული გეგმის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ალჟირში არის მერს-ელ-კებირის ბაზა, განაგრძო ბენ ბელამ, ჩვენ ერთგული დავრჩებით ნეიტრალიტეტისა და ბელგრადში ამას წინათ შექმნილ ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკისა. მსოფლიოში არის ბევრი მაგალითი ნეიტრალური ქვეყნებისა, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია უცხოეთის ბაზები. დამოუკიდებელი ალჟირი არ მიემხრობა არც ერთ სამხედრო პაქტს. მას ექნება თავდაცვის საკუთარი სისტემა, რომელსაც იგი სავსებით სუვერენულად მოაწყობს“.

ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე შეეხო აგრეთვე ეკონომიურ თანამშრომლობას საფრანგეთთან. ამ თანამშრომლობას საფუძვლად ექნება ორივე ქვეყნის თანასწორობა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა, ისე როგორც ურთიერთსარგებლობისა და ორივე ერის ინტერესების დაცვის პრინციპები. ეს თანამშრომლობა გავრცელდება ეკონომიურ, ტექნიკურ, ფინანსურ და კულტურულ დარგებზე. ოაზისისა და საურის ახლანდელ დეპარტამენტებში (საჰარის დეპარტამენტები — რედ. შენიშვნა) თანამშრომლობა გამოიხატება, კერძოდ, პარიტეტული ტექნიკური ორგანოს შექმნით, რომლის ამოცანა იქნება ხელი შეუწყოს ბუნებრივი სიმდიდრეების თვისებას. ეს ორგანო ღია იქნება მეზობელი ქვეყნებისათვის. აგრარული რეფორმის ჩარჩოებში გათვალისწინებულია საფრანგეთის წელილი ახალმოსახლეთა ზარლის ასანაზღაურებლად.

ბენ ბელა შეეხო გარდამავალ პერიოდს და აღნიშნა, რომ დადებული შეთანხმება ითვალისწინებს, კერძოდ, „დროებითი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი შეიარაღებული ძალების შექმნას, ალჟირში საფრანგეთის დროებითი კომისრის დანიშვნას, რომელიც შეცვლის ეგნერალურ დელეგატს; დაპატიმრებულთა და ინტერნირებულთა პირთა განთავისუფლებას, ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკების ლიკვიდაციას, ალჟირელ ლტოლვილთა და ალჟირიდან გასახლებულ პირთა დაბრუნებას მათ კერებში. გარდამავალი პერიოდის დროს საფრანგეთის არმია შეწყვეტს ყოველგვარ ოპერაციას და თავს შეიკავებს ყველა მოქმედებისაგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ ხალხის ნების თავისუფალ გამოთქმას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია შეინარჩუნებს შეიარაღებას, სტრუქტურასა და კადრებს თავისი განლაგების რაიონებში.

გარდამავალი პერიოდი მოითხოვს მაქსიმალურ სიფხიზლეს, ხაზგასმით აღნიშნა ბენ ბელამ. „ცეცხლის შეწყვეტა ჯერ კიდევ ზავი როდია, საფრთხე დიდია და ოას-ის ფაშისტურ-რასისტული ურდოები, იმისათვის, რომ შეინარჩუნონ „ფრანგული ალჟირი“, კვლავ შეეცდებიან სისხლით მორწყან ეს ქვეყანა. დღემდე საფრანგეთის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალნი მეტნაკლებად ოას-ის თანამზრახველები იყვნენ. მშვიდობისა და ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობის უმაღლესი ინტერესებისათვის ამ თანამზრახველობას ბოლო უნდა მოეღოს... ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა არის ალჟირის სუვერენიტეტის გარანტი და ალჟირელი ხალხის ნების გამომხატველი და კვლავ განახორციელებს თავის ფუნქციებს, სანამ ალჟირის ეროვნული კრება, რომელსაც აირჩევენ ძალე რეფერენდუმის შემდეგ, შექმნის მუდმივ მთავრობას“.

ბენ ბელამ აღნიშნა, რომ „დამოუკიდებლობა საბოლოო მიზანი კი არა, მხოლოდ საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შევცვალოთ მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში. იგი კოლონიური უღრუბლის მდგომარეობიდან უნდა გადავიდეს თავისუფალი ქვეყნის მდგომარეობაში, რომელიც იბრძვის ეკონომიური რეკონსტრუქციისა და სოციალური განთავისუფლებისათვის“.

ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „გარდამავალი პერიოდი მოსამზადებელი ეტაპია დამოუკიდებლობის მოპოვების წინ, მაგრამ ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამოუკიდებლობას ამ სიტყვის სრული აზრით. სანამ არ გამოცხადებულა დამოუკიდებლობა, სანამ არ შექმნილა ხელისუფალი ალჟირის მთავრობა არ დასრულდება ეროვნულ ტერიტორიაზე, ხალხი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია, აქტივისტები სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა იყვნენ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეასუსტოთ სიფხიზლე გარდამავალი პერიოდის დროს. ყველა ხელმძღვანელი, ყველა აქტივისტი თავის პოსტზე რჩება“.

„ალჟირი იქნება ისეთი, როგორც ჩვენ, ალჟირელებს, გვსურს იგი ვნახოთ, — განაცხადა დასასრულ ბენ ბელამ. — ჩვენი ხალხი, ძლიერი თავისი ერთიანობით, მთელი მსოფლიოს წინაშე, რომელიც თვალყურს ადევნებს მას, განაგრძობს ბრძოლას იმ მიზნების მიღწევისათვის, რომლებსაც თავისი სიცოცხლე შესწირა ასეულათასობით ალჟირელმა პატრიოტმა. ალჟირელი ხალხი დარჩება საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, რათა საფრანგეთ-ალჟირის შეთანხმებანი პატიოსნად განხორციელდეს. იგი დარწმუნებულია ალჟირის მსოფლიოს ყველა ხალხის, მათ შორის ფრანგი ხალხის მხარდაჭერაში“...

ᲣᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ

ჟენევა, 19 მარტი. (საკადესის სპეც. კორ.). ორი დღის შესვენების შემდეგ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი კვლავ შეიკრიბა ჟენევის ერების სასახლის საბჭოს დარბაზში. დღევანდელ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ეთიოპიის საგარეო საქმეთა მინისტრის კ. იფრუს თავმჯდომარეობით, გამოვიდნენ ბულგარეთისა და კანადის წარმომადგენლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციამ, განაცხადა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ლუკანოვმა, ყველა მთავრობას დაუსახა მკაფიო ამოცანა — არ დაიშურონ ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების მომზადების საქმეში. ამისათვის ერთადერთი გზაა მოვუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და მუხლობრივად შევიმუშაოთ პროექტი ხელშეკრულებისა განიარაღების შესახებ. სწორედ ასე უდგება ამ საკითხს საბჭოთა მთავრობა, რომელმაც შემოგვთავაზა ყოვლისმომცველი და მკაფიო ხელშეკრულება მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა სავსებით მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის პროექტს და მიაჩნია იგი ყველაზე სწორ საფუძვლად კომიტეტის შემდგომი მუშაობისათვის.

დასასრულ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტს წარდგენილი აქვს ერთადერთი პროექტი ხელშეკრულებისა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რეალური პროექტი, რომელიც აკმაყოფილებს საყოველთაო და სრული განიარაღების ყველა მომხრეს, — საბჭოთა მთავრობის პროექტი. ამ პროექტის განხილვა იმ მიზნით, რომ იგი მთელი კომიტეტის პროექტი გახდეს, უმოკლესი გზაა, რათა შესრულდეს ამოცანები, რომლებიც კომიტეტს აქვს დაკისრებული.

შემდეგ სიტყვა მიეცა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრს გ. გრინს, რომელმაც შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი საპროცედურო საკითხებზე და იმედი გამოთქვა, რომ კომიტეტი გაამართლებს იმ დიდ ნდობას, რომელიც მას გაუწევს.

მას შემდეგ, რაც კომიტეტის წევრებმა კომიტეტის თანათავმჯდომარეთა და მთელი რიგი დელეგაციების წარმომადგენელთა წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება — გაიმართოს ნაშუადღევს არაოფიციალური სხდომები უფრო ვიწრო შემადგენლობით, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მეოთხე სხდომის დღის წესრიგი ამოიწურა.

შემდეგი ოფიციალური სხდომა გაიმართება 20 მარტს.

ალჟირი დღეს. ოასელი ბანდიტების მოქმედება მრავალ მსხვერპლს იწვევს. ოლუბებიან შემთხვევითი გამვლელები — ბავშვები, ქალები, მოხუცები. ოფიციალური ცნობებით, იანვარსა და თებერვალში მოკლულ იქნა 1.600 კაცი.

სურათზე: ქალაქ ალჟირში პლასტმასის ბომბები აფეთქების შემდეგ. ფოტო აპ-საკადესისა.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓᲕᲘᲚᲨᲘ

ლეოპოლდვილი, 19 მარტი. (საკადესი). ლეოპოლდვილში გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სირილ ადულა და კატანგელ გამოთშველთა მეთაური ჩომბე. შეხვედრა მიეძღვნა კატანგის პრობლემას, გადაწყდა, რომ შემდგომი მოლაპარაკება ამ პრობლემის შესახებ კარდახურულ დარბაზში გაიმართება.

პირველი შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შეხვედრამ „გულთადობის ვითარებაში“ ჩაიარა. დღეს მოლაპარაკება გაგრძელდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური პირების მიერ გამართულ დარბაზობაზე ჟურნალისტების შეკითხვების პასუხად ადულამ განაცხადა, ჩემი აზრით, მოლაპარაკება დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს, რამდენადაც „ყველა საკითხი ნათელია და საჭირო არ არის მათ განხილვას რამდენიმე დღე მოხმარდეს“. ამავე დროს ჩომბესთან ახლო მდგომ წრეებში, პირიქით, ამტკიცებენ, მოლაპარაკება შეიძლება გაჭიანურდესო. ამ წრეებში წინანდებურადვე იმ ხაზს ადგანან, რომ კატანგის დელეგაცია ლეოპოლდვილში ჩამოვიდა, „რათა საკითხები განიხილოს და არა კაპიტულაცია მოახდინოს“.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა უნგ ვან ქიემმა დეპეშა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს — ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის თათბირის ერთ-ერთ თავმჯდომარეს.

უნგ ვან ქიემი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ სამხრეთ ვიეტნამში სულ უფრო რთულდება ვითარება შეიარაღებული აგრესიის პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს მოჰყავს ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის მრავალი ფაქტი და ხაზს უსვამს, რომ, თუ დროზე არ შეაჩერეს ამერიკელი იმპერიალისტი აგრესორების ხელი, მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში მეტად საშიში გახდება.

უნგ ვან ქიემი სთხოვს ჟენევის თათბირის თავმჯდომარეებს განსაოცარელ ღონისძიებანი, რათა მოსთხოვონ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შეიარაღებული აგრესიის პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამში, დაშალოს ამერიკის სამხედრო სარდლობა საიგონში და დაუყოვნებლივ გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან ჯარის ქვედანაყოფები, ნაწილები და პერსონალი, აგრეთვე გაიტანოს ამერიკული მთელი შეიარაღება და სხვა სამხედრო ტექნიკა. (საკადესი).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ

მონლოლეთი. მიმდინარე წელს კვლავ წარმატებით განვითარდება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობა. აშენდება ათზე მეტი სამრეწველო საწარმო.

მონღოლეთში პირველი ელექტროსადგურები აიგება წელს ჰუბსუგულისა და კობდოსის აიმაკებში. ხელენგისა და ჩოიბოლსანის აიმაკებში ამუშავდება თბოელექტროსადგურები, ზაპანინის აიმაკში — ხისდამუშავებელი საწარმო.

შარშანდელთან შედარებით წელს ქვანახშირის ამოღება გაიზრდება 11,5 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება 89,7 პროცენტით და ვოლფრამის წარმოება 80 პროცენტით.

ᲒᲣᲚᲘ ᲘᲙᲕᲚᲔᲕᲔᲜ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

უნგრელმა გამომგონებლებმა ოლივერ ჰოლოშმა და ტივადარ პაუსლადენმა შექმნეს პორტატიული აპარატი, რომლის მეშვეობით ელექტროკარდიოგრამის გადადება შეიძლება...

ხელსაწყო პატარა წიგნის ზომისაა. იგი გულის კუნთების იმპულსებს ბგერად რხევად გადააქცევს და ტელეფონით გადასცემს ყოველგვარ სიშორეზე.

ამ გამოგონების შემწეობით კონსილიუმის მოწვევა შეიძლება შორ მანძილზე.

ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲘ

ჩეხოსლოვაკია. ოთხასმეტრიანი საგლინავი დგანი. მას მართავს მხოლოდ ერთი კაცი — ოპერატორი. მას ეხმარება გონიერი კიბერნეტიკული მოწყობილობა, რომელიც დგანის კომპლექსური ავტომატიზაციის მნიშვნელოვანი რგოლი გახდა. თითქმის ნახევარკილომეტრიანი გიგანტური აგრეგატის კონსტრუქციაა ეკუთვნის პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხანას. ოპერატორი მის მუშაობას თვალს ადევნებს სამრეწველო ტელევიზორთა ოც ეკრანზე.

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ „ᲡᲢᲐᲠᲘ“

პოლონეთი. სტარახოვიცის საავტომობილო ქარხანა პოლონეთის საავტომობილო მრეწველობის პირმშოა. საწარმოს კონვეიერიდან უკვე ჩამოვიდა 100.000 ავტომობილი. 1948 წელს ვარშავაში აგუგუნდა პირველი ოცი სამამულო მანქანა „სტარი“. წარმოებული ავტომობილების რაოდენობით ვარშავის ქარხანა ევროპაში მესამე ადგილზე გამოვიდა (საბჭოთა კავშირისა და იტალიის ფირმა „ფიატის“ შემდეგ). ხუთწლედის ბოლოს — 1965 წელს ქარხანა 20.000, ხოლო 1970 წელს — 35.000 ავტომობილს გამოუშვებს. პოლონური ავტომობილები გაავქთ ბრაზილიაში, ბულგარეთში, ბირმაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ფინეთში, გვინეაში, კუბასა და სხვა ქვეყნებში.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓᲕᲘᲚᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 19 მარტი. (საკადესი). „საფრანგეთის მუშათა კლასი, რომელიც შეუპოვარ ბრძოლას ეწევა ალჟირში ცეცხლის შეწყვეტისათვის, სიხარულს გამოთქვამს. ახლა დაისახა მშვიდობისა და დამოუკიდებელი ალჟირის და საფრანგეთის თანამშრომლობის, ალჟირისა და საფრანგეთის ხალხების და მუშათა კლასის თანამშრომლობის დამყარების გზა“, ნათქვამია შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობის განცხადებაში, რომელიც გზავნილ „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა უვნებელყონ ისინი, ვისაც სურს გაალაშქროს მშვიდობის აღდგენის წინააღმდეგ. შრომის საყოველთაო კონფედერაცია მოუწოდებს:

— ლიკვიდირებულ იქნეს ოას-ი და გაუვნებლებულ იქნეს მისი ხელმძღვანელები და თანამონაწილენი და მოისპოს მკვლელთა ორგანიზაცია;

— გაიწმინდოს ფაშისტური ელემენტებისაგან მთელი სახელმწიფო აპარატი.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია მოუწოდებს მუშებს განამტკიცონ ყველა პროფკავშირის, ყველა პარტიისა და დემოკრატიული ორგანიზაციის, ყველა ანტიფაშისტის ერთიანობა იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ოას-მა სცადოს მშვიდობის დარღვევა.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲐᲚᲯᲘᲠᲡ!

ტუნისი, 19 მარტი. (საკადესი). ტუნისში ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა საფრანგეთის მთავრობისა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შეთანხმების შესახებ. გუშინ საღამოს ტუნისის დედაქალაქის ქუჩებში ათასობით აქ მოსახლე ალჟირელი გამოვიდა. მათ მთელ ოჯახებად მოჰქონდათ ალჟირის ეროვნული ალმები. ადამიანები ერთმანეთს კოცნიდნენ და სიხარულით ტიროდნენ. წარმოიშვა სტიქიური დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი ხმაშეწყობით იმეორებდნენ: „იახია ალჟა�ir!“ („გაუმარჯოს ალჟირს!“).

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

□ **ქვანა**, 19 მარტი. (საკადესი). ვითარება გვატემალაში ფრიად დაძაბულია. უცხოეთის საინფორმაციო საგენტოების ცნობებით, ხალხის გამოსვლები იდიგორას ფუნენტესის პრამიერიული დიქტატურის წინააღმდეგ გრძელდება, მიუხედავად ხელისუფალთა მკაცრი რეპრესიული ღონისძიებებისა. გვატემალის დედაქალაქში სტუდენტთა დემონსტრაციების ჩახშობის დროს რამდენიმე ათეული კაცი დახოცეს, დაჭრეს ხუთასზე მეტი. მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები გაფიცვას განაგრძობენ.

გვატემალის დედაქალაქის ქუჩებში პატრულობენ არმიისა და პოლიციის გაძლიერებული რაზმები. ქალაქის ბევრ უბანში ბარიკადები გაჩნდა.

□ **პარიზი**, 20 მარტი. (საკადესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტაიბეიდან იუწყება, პირბმმა, რომლებიც ახლო არიან სამხედრო ხელისუფლებასთან, გუშინ განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტმა გააქტიურა თავისი მოქმედება ტაივანის სრუტეში.

ისინი აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოპერატიული ჯგუფის სამხედრო ხომალდების რიცხვი, რომლებიც პატრულობენ ტაივანის სანაპიროს გასწვრივ, განვლილ კვირაში აშკარად გადიდდა.

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐ

ბერლინი, 19 მარტი. (საკადესი). თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური პრობლემის — განიარაღების გადაჭრის საბჭოთა პროგრამას მხურვალედ იწონებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენა. პრესაში და რადიოთი ყოველდღე გადასცემენ სხვადასხვა დემოკრატიული პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებებს, რომლებსაც ახალი საბჭოთა წინადადებანი მიაჩნიათ ძვირფას წვლილად მტკიცე მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლაში.

ხელშეკრულების პროექტში საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ შეიტანა ჟენევის თათბირის მონაწილეთა განსახილველად, საუკეთესოდ არის ერთმანეთთან შეზამბული ყველა პატიოსანი წინადადება განიარაღების პრობლემის გადაჭრის შესახებ, რომლებიც წამოაყენეს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, განაცხადა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალურმა მდივანმა პერალდ ჰეტნიგმა, საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ კონტროლის სისტემას, აღნიშნა ჰ. ჰეტნიგმა, აქვს ის თავისებურება, რომ იგი ითვალისწინებს განიარაღების კონტროლს, და არა შეიარაღების კონტროლს.

ახალი საბჭოთა ინიციატივა დიდად შეაფასა გერმანელმა მწერალმა მაქს ციმერინგმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა: ჟენევის თათბირი სასინჯი ქვაა თავროთა პატიოსნების შესამოწმებლად იმ თვალსაზრისით, მზად არიან თუ არა ისინი გაათავისუფლონ ხალხები დამანგრეველი ომის საშიშროებისაგან. განიარაღების შესახებ წინადადების შეტანით საბჭოთა კავშირმა ცხადყო, რა უნდა გააკეთოს ყოველმა სახელმწიფომ, თუ იგი ნამდვილად ცდილობს სამუდამოდ აღმოფხვრას ხალხთა ცხოვრებიდან ომი, როგორც სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრის საშუალება.

„რეალური გეგმა“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დღეს „ნოიეს დოიჩლანდმა“ ვრცელი სტატია საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ უკანასკნელ საბჭოთა წინადადებათა გამო. კაცობრობის საუკუნოვანი ოცნება მშვიდობაზე ამყამად გახდა რეალური შესაძლებლობა, ნათქვამია სტატიაში. ეს ოცნება ხორცს შეისხამს, თუ განხორციელდა საყოველთაო და სრული განიარაღება.

„ნოიეს დოიჩლანდი“ ანალიზს უკეთებს უენევის თათბირის მუშაობას და წერს, რომ საბჭოთა ინიციატივამ უკვე პირველივე დღიდან თათბირს მისცა გადამწყვეტი იმპულსი.

ამასთან „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ გეგმა, რომელიც ჟენევაში შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა, ითვალისწინებს არა საყოველთაო და სრულ განიარაღებას, არამედ ზოგიერთ კერძო ღონისძიებას, რომლებიც თითქოს ხელს შეუწყობს განიარაღებას. ასეთი დოკუმენტი ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციასა და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივ განცხადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესაძლებ

ᲕᲠᲘᲖᲘᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲝ!

** Მ. ᲛᲔᲠᲭᲐᲜᲝᲕᲘ,**
გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საკავირაო დამატება—„ფუტბოლის“ რედაქტორი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს დიდი ხანია ვიცნობ. ახლა იგი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია. მას საინტერესო და სახელოვანი ისტორია აქვს. მე მახსოვს თბილისელები 1936 წლიდან, როცა მათ მოიგეს ტურნირი „ბ“ კლასში და უმაღლეს ჯგუფში გადავიდნენ. მახსოვს ქართველ ფეხბურთელთა პირველი თამაში მოსკოვში, მახსოვს შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინეს დინჯმა შოთა შავგულიძემ, ტემპერამენტიანმა მიხეილ ბერძენიშვილმა, ტექნიკოსა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ.

ყველაფერი ეს სრული სიცხადით მახსოვს, მას შემდეგ კი ხომ უკვე მეოთხედა საუკუნეშ განვლო! ფეხბურთისათვის ეს უდიდესი ვადაა. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელთა რამდენიმე თაობა შეიცვალა. მეხსიერებაში წაიშალა ზოგიერთი მოთამაშის ვვარი და დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებმაც კვალი დატოვეს ქართული ფეხბურთის განვითარებაში: ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი, გ. ჯეჯელავა, შ. შავგულიძე, გ. ანთაძე. იცვლებოდა ფეხბურთელთა თაობები, მაგრამ არ შეცვლილა ქართული ფეხბურთის სტილი—სწრაფი, ტემპერამენტიანი, კომბინაციური, მაღალტექნიკური, მე ვიტყოდი — ბრწყინვალე.

სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა თბილისის „დინამოს“ გუნდს 25 წლის მანძილზე ყოფილიყო სსრ კავშირის წამყვანი გუნდების რიგებში. ქართველ ფეხბურთელთა შეხვედრებს მოსკოვისა და ლენინგრადის კლუბებთან მუდამ დიდი სპორტული ინტერესი ჰქონდა და მრავალ მაყურებელს იზიდავდა. სრულიად საკავშირო ტურნირებში თბილისის დინამოელებს არაერთხელ ეკავთ სპარიზო ადგილები და იყვნენ სსრ კავშირის თასის ფინალისტები.

რა თქმა უნდა, ასეთი შედეგები ერთბაშად როდი ყოფილა მიღწეული. ქართული ფეხბურთის კულტურა იქმნებოდა თანდათან.

თბილისელმა მოთამაშეებმა შემოხვეეთ როდი აითვისეს საკმაოდ სწრაფად ჩვენში ბასკების მიერ შემტანილი „დუბლ-ვეს“ სისტემა, შემთხვევით როდი აითვისეს იგი შემოქმედებითად, თავიანთი თავისებურებებისადმი შეფარდებით.

ზედმეტია დაწვრილებით შევჩერდეთ „დუბლ-ვეს“ ინგლისური სისტემის პრინციპებზე — იგი საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ფეხბურთმა აითვისა იგი მხოლოდ სამი დამცველის განლაგების მხრივ, ხოლო რაც შეეხება სამ წინწაწეულ თავდამსხმელს, ისინი თამაშობდნენ თავისებურად, ფრონტზე და სიღრმეში ფართო მანევრირებით და სულაც არ წაადგებოდნენ ინგლისელ ფორვარდებს, რომლებიც თავიანთი უბნის ვიწრო, პირობითს კორდორებში მოქმედებდნენ.

და იმ პერიოდს (1937-38 წლები) რომ ვიხსენებთ, უნდა ვთქვათ, რომ თბილელმა ფეხბურთელმა ბორის პაიჭაძემ ერთ-ერთმა პირველმა აიღო ხელი ინგლისელების მიერ შემოღებულ იერიშის პრინციპზე. იგი მოქმედებდა არა მარტო მოედნის ცენტრში, არამედ აგრეთვე მიდიოდა მინდვრის ხან ერთ, ხან მეორე კიდეზე, იხევდა მოედნის შუაგულისაკენ. კვლავ ბრუნდებოდა თავის ადგილზე და ამით მეტისმეტად აძნელებდა მოწინააღმდეგე გუნდის მცველთა თამაშს. მალე მას „მოხეტიალე ფორვარდი“ უწოდეს. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო სწორი, რადგან პაიჭაძემ ინგლისური სქემა დაარღვია არა იმიტომ, რომ მინდორზე ეხეტიალა, არამედ იმიტომ, რომ იერიშის ახალი პრინციპებისათვის მიეგნო. და მან მიაგნო მათ. ეს იყო ცენტრალური თავდამსხმელის მანევრი, ეს იყო თბილისის „დინამოს“ მანევრული თამაშის დასაწყისი. მანევრული თამაში თავს იჩენდა სხვა გუნდებშიც. ზოგნი პაიჭაძეს ბაძავდნენ, მინდორში „დაეხეტებოდნენ“ და თან გაიყოლიებდნენ ხოლმე „მიმაგრებულ“ მცველებს, მეორენი, მაგალითად, გ. ფედოტოვი და ვ. ბობროვი „ამოცანის გადაწყვეტას“ ეძებდნენ გაორებულ ცენტრში, ზოგნი კი — თავისუფალ ადგილზე სწრაფად გასვლაში.

მაგრამ მარტო ბორის პაიჭაძის „ხეტიალმა“ როდი განსაზღვრა თბილისელი ფორვარდების თამაში. მე ვფიქრობ, რომ ქართველი ფეხბურთელები მუდამ ეძებენ იერიშის ახალ ფორმებს — როგორც კოლექტიურს, ისე იხდივიდუალურს. და ამან შესაძლებლობა მისცა მათ ღირსეულად გამოსულიყვნენ ხოლმე უაღრესად მძიმე მდგომარეობიდან და გამარჯვებისათვის მიეღწიათ იქ, სადაც დამარცხება თითქოს უდავო იყო.

ფორვარდების სწორედ ცოცხალმა, მრავალფეროვანმა თამაშმა განსაზღვრა მთელი გუნდის თამაშის სტილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლუბის არსებობის მთელ მანძილზე არ ყოფილა სეზონი, რომ კოლექტივს თავისი თამაში ფეხბურთის ძალისმიერ პრინციპებზე აეგო. ქართველ ფეხბურთელთა მსუბუქ, აეროულ, ვირტუოზულ თამაშს უხეში, ძალისმიერი ილეთები არ ესაჭიროებოდა. კომბინაცია და მანევრი ყოველთვის უფრო მრისხანე იარაღი იყო, ვიდრე ბიძგი, ან სარმა.

მახსოვს, იყო დრო, როცა თბილისის „დინამოს“ (ისევე როგორც სხვა მაღალტექნიკურ და კომბინაციურ გუნდებს) ეხეულებოდა თამაში ძალისმიერ კოლექტივებთან, რომელიც თამაშში უხეშობას მიმართავდნენ. მაგრამ თბილისელები მაინც არ ეგებოდნენ პროვოკაციის ანკესზე, არ ღალატობდნენ თამაშის თავიანთ სტილს.

ძალისმიერი ფეხბურთის გავრცელება, რის მოწმენიც 1959 წელს ვიყავით, შეეხო, რა თქმა უნდა, არა მარტო ქართველ სპორტსმენებს, მან ზიანი მიაყენა მთელ საბჭოთა ფეხბურთს და ერთგვარად შეაფერხა თამაშის კლასის განვითარება.

მე უკვე რამდენჯერმე დამიწერია, რომ ფეხბურთი შედგება ორი ძირითადი ელემენტისაგან: თამაშისა და ბრძოლისაგან. ფეხბურთი წარმოუდგენელია თამაშოდ, ისევე როგორც წარმოუდგენელია იგი უბრძოლველად. მთელი საქმე პროპორციაა. გუნდები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული ბურთს, რომლებმაც იციან უბურთოდ თამაშო, მანევრირება, კომბინირება, რთული ტექნიკური ილეთების შესრულება, მატჩში უფრო **თამაშობენ**, ვიდრე იბრძვიან. ტექნიკურად და ტაქტიკურად ცუდად **მოამზადეს** გუნდები კი უფრო **იბრძვიან**, ვიდრე თამაშობენ.

თბილისელი დინამოელები ეკუთვნიან იმ გუნდების ჯგუფს, რომლებიც უფრო თამაშობენ. მაგრამ როგორც არ უნდა იბრძოდნენ ფეხბურთელები, რა დაუშვებელ ილეთებსაც ან პირდაპირ უხეშ თამაშს მიმართავდნენ, საბოლოო ანგარიშით იმარჯვებენ კოლექტივები, რომლებიც ოსტატობის მხრივ უფრო მაღლა დგანან.

თუ შევეხებით თბილისის „დინამოს“ უკანასკნელი წლების თამაშს, უნდა ითქვას, რომ გუნდმა ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 1959 წელს, როცა მან მესამე ადგილი დაიკავა და კარგი შედეგები ვვიჩვენა უცხოეთში კერძოდ საფრანგეთში გამართულ მატჩებში.

გუნდის ძლიერი მხარე მუდამ იყო და დღემდე არის თავდასხმის ხაზი. ბოლო ხანებში იგი ჩამოყალიბდა ისეთი პირველხარისხოვანი ფეხბურთელებისაგან, როგორიც არიან მ. მესხი, ზ. კალოევი, ვ. ბარქაია, თ. მელაშვილი, შ. იამანიძე, ი. დათუნაშვილი და უკანასკნელ დრამდე ა. ღოღობერიძე. ყველა კლუბი ვერ დაიკვეხნის ფორვარდთა ასეთ თანავარსკვლავედს, რომელთა ნახევარზე მეტი შედიოდა და შედის საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

თვითეულ მოთამაშეს საკუთარი ინდივიდუალობა აქვს და მათ ყველამ იციან კოლექტიური თამაში. ყოველთვის შეგვიძლია ვიცნოთ მ. მესხი მისი ფინტებით, ზ. კალოევი — ჰაერში თამაშით, ვ. ბარქაია — კარისაკენ სწრაფი გაჭრით, შ. იამანიძე — მოფიქრებული გადაცემით და მინდვრის დიდ სივრცეზე თამაშის უნარით.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში გუნდში მინელდა თავდაცვის ხაზებში თამაშის ინტერესი. ყველა უნიჭიერეს, ახალგაზრდა ფეხბურთელს სურს თავდასხმის ხაზში ითამაშოს.

ამას წინათ თბილისის ერთ-ერთ ეზოში შევედი და საინტერესო სურათი ვნახე: ბიჭუნების ჯგუფი გატაცებით თამაშობდა ფეხბურთს ორ კარში, მაგრამ ზურგზე ყველას ცარცით ეწერა ციფრი 11, რომელიც მათ მიხეილ მესხის მაისურაზე უნახავთ. თვითეულ მათგანს უნდა ისევე თამაშობდეს, ისეთსავე ფინტებს აკეთებდეს, როგორც პოპულარული ფორვარდი.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ გუნდს პირველხარისხოვანი მცველები რომ არა ჰყავს, ეს მუდამ იგრძნობა მის თამაშში. გ. ჩოხელი და ა. ბურაკოვი. ეს ორი ბეკი ბურთს ბოლომდე ეძებენ, ბურთს ეძებენ ბოლომდე, ბურთს ეძებენ ბოლომდე. ეს ორი ბეკი ბურთს ეძებენ ბოლომდე